

ც ნ ო ბ ა

12.02.08- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში დაწესებულია ადმინისტრაციული წარმოება „ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2007 წლის 30 მაისის №9 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის – დადგენილების მისაღებად.

დადგენილების პროექტი განსაზღვრავს კომპანიასა და მომხმარებლებს შორის არსებულ ურთიერთობებს, რომელზეც არ ვრცელდება „ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2007 წლის 30 მაისის №9 დადგენილება, დროებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცებამდე, „სს „ეი-ი-ეს თელასის“ სააბონენტო სექტორის მომხმარებლებისათვის (მოსახლეობისათვის) 1999 წლის 4 იანვრის შემდეგ წარმოქმნილი ვალის რესტრუქტურისა და წესის“, სააბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში აღურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის მეთოდისა“ და „ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელექტროენერჯის საფასურის გადახდის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2001 წლის 31 დეკემბრის №15 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული „სააბონენტო, საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში აღურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის მეთოდის“ გავრცელებას.

„ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2007 წლის 30 მაისის №9 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის – დადგენილების მიღების ვადად განისაზღვროს 2008 წლის პირველ აპრილამდე.

„ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2007 წლის 30 მაისის №9 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი წერილობითი მოსაზრებები **2008 წლის 10 მარტამდე**, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის 45).

ც ნ ო ბ ა

12.02.08- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება „ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების მისაღებად.

დადგენილების პროექტი განსაზღვრავს განაწილების ლიცენზიატის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთებისა და მომსახურების პირობებს. „ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების მიღების ვადა განისაზღვროს 2008 წლის პირველ აპრილამდე.

„ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის შესახებ“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს

შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი წერილობითი მოსაზრებები **2008 წლის 10 მარტამდე**, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის 45).

ც ნ ო ბ ა

25.01.08 “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-16 მუხლის, მე-4 მუხლის, “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ორთავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, დაწესებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება განაწესებული კომპანიების „გამა“, „მილი“, „გოგოჭური“, „ენერგია+“ და „საგარეჯო გაზის“ ბუნებრივი გაზის სატარიფო განაცხადების შესახებ.

კომპანიების „გამა“, „მილი“, „გოგოჭური“, „ენერგია+“ და „საგარეჯო გაზის“ მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების გაცნობა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სემეკის ფასწარმოქმნისა და ტარიფების დეპარტამენტში.

გთხოვთ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები წარუდგინოთ სემეკის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტს 2008 წლის 14 მარტამდე.

მისამართი: ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45; 1077 ქ. თბილისი.

სემეკის ფასწარმოქმნისა და ტარიფების დეპარტამენტი

ც ნ ო ბ ა

05.03.08- “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-16 მუხლის, მე-4 მუხლის, “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ორთავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, დაწესებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სს „ბაღდათიგაზზე“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის გაცემის შესახებ.

სს „ბაღდათიგაზის“ მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების გაცნობა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სემეკის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტში.

გთხოვთ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები წარუდგინოთ სემეკის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტს 2008 წლის 1 აპრილამდე.

მისამართი: ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45; 1077 ქ. თბილისი.

სემეკის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტი

